საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზეგარდა

ზეგარდა, XIII–XIV სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგის ეკლესია სოფ. დიღმის მიდამოებში. გეგმით სწორკუთხა, პატარა ზომის ნაგებობა აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდით არის დასრულებული. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. ნათდება საკურთხევლისა და სამხრ. და ჩრდ. კედლების სარკმლებიდან. ჩრდ. კედელში სარკმლის დატანება იშვიათია შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრებისთვის. ასევე თავისებურადაა გადაწყვეტილი საკურთხევლის აფსიდიც: სატრიუმფო თაღის პილასტრები აფსიდის ნახევარწრეს კი არ ერწყმის, არამედ გამოწეულია მის ფარგლებს გარეთ. ფასადი შემოსილია ქვის გათლილი ფილებით. დას. მხარეს შემოყოლებულია ვიწრო ფილების სარტყელი, რ-იც აქ დეკორ. დანიშნულებას ასრულებს. სამხრ. კარის თავზე მოთავსებული არქიტრავი შემკული იყო ნახევარწრიული თაღით. დეკორ. მორთულობიდან აღსანიშნავია სხვადასხვა სიგანის 3 რელიეფური ლილვით შემკული საკურთხევლის სარკმლის საპირე.

ლიტ.: Ш м е р л и н г Р., Д о л и д з е В., Б а р н а в е л и Т., Окрестности Тбилиси, Тб., 1960.